საქართველოს
ფინანსთა სამინისტრო
Ministry of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

134619-04-03-2-202111101823

N 04-03/134619
10/11/2021

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს

„საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტის საფუძველზე განახლებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად გაცნობებთ, რომ:

- 2022 წელს პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 258 600.0 ათას ლარს, საიდანაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0.44%, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტრაციოდ შეადგენს 5 500.5 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დამატებული ღირებულების გადასახადის საკასო შემოსავლის მიხედვით.

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წელს ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრა 2 200.0 ათასი ლარით და შესაბამისად სულ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის 2022 წელს გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 7 700.5 ათას ლარს.

- „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისათვის მიზნობრივი ტრანსფერი განსაზღვრულია 210.0 ათასი ლარით.

ამასთან, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშუალოვადიანი პროგნოზებისა და საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით გიგზავნით

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261412;
ელფოსტა: info@mof.ge
ვებგვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261412;
E-mail: info@mof.ge
Website: www.mof.ge

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2023-2025 წლებში მისაღები დამატებული ღირებულების გადასახადის პროგნოზს.

- ✓ 2023 წელი 6 875.7 ათასი ლარი;
- ✓ 2024 წელი 7 863.8 ათასი ლარი;
- ✓ 2025 წელი 8 492.9 ათასი ლარი.

გიორგი კაკაურიძე

მინისტრის პირველი მოადგილე